ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N30

(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. მარნეული *„28“ „თებერვალი“ 2022 წელი*

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ***მერის კენან ომაროვის*** *სახით, და* ***შპს „მწვანე სახლი“*** *შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის* ***მირიან მდივანის*** *სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:*

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის 22/02/2022 წლის N02-3222053191, 24/02/2022 07-3222055195 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, 200 ცალი ქოთნის ყვავილის შესყიდვა (CPV 03120000 - ბაღჩეული და სასათბურე პროდუქტები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. *ხელშეკრულების ღირებულება ინვოისის თანახმად შეადგენს* ***400 (ოთხასი) ლარს.***

3.2. მოსაწოდებელი საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს: 200 ცალი X 2 ლ. = 400 ლარი, თანახმად ინვოისისა.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის ტრანსპორტირებას.

3.4. დაფინანსების წყარო – ***2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.***

4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ***ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ამა წლის 07 მარტამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ.N73.***

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი/ინსპექტირება ან/და გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების სპეციალისტი <u>ნინო კირვალიძე.</u>**

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა დაუყოვნებლად.

7. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი ან/და მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.3. ანგარიშსწორების ვადა – **მიღება–ჩაბარების აქტის (საქონლის მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.**

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

9.2. დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ფორს–მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების

შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ,,ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. *ინტერესთა კონფლიქტი 14.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან* ***შ.პ.ს. ,,მწვანე სახლ(ი)''*** *-თან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.*

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. *წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის* ***ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.***

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	***მიმწოდებელი:***
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია *საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149* *მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73*	***შ.პ.ს. ,,მწვანე სახლი''*** *საიდენტიფიკაციო კოდი: 205128226* *მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის N52* *ტელეფონი: 599 04 08 66* *ელ.ფოსტა: info_greenhouse@yahoo.com*
საბანკო რეკვიზიტები: *სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22* *ანგ. N.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022*	*საბანკო რეკვიზიტები:* *მომსახურე ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"* *ბანკი / ბანკის კოდი: BAGAGE22* *ანგ. N.ა. GE 08 BG 0000 0001 2627 7400*
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი:	**დირექტორი:** Mtsvane Sakhli LLC Digitally signed by Mtsvane Sakhli LLC Date: 2022.02.28 12:34:37 +04'00'
——————————— *კ.ომაროვი*	——————————— **მ. მდივანი**

MARNEULI MUNICIPALITY Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY Date: 2022.02.28 15:37:09 +04'00'

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

24.02.2022
ინვოისი N 2022-4

გამყიდველი:

შპს "მწვანე სახლი"
ს/კ: 205128226
ქ. თბილისი, გორგასლის # 52
მიმღები ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: *BAGAGE22*
ა/ა: GE08BG0000000126277400GEL
მიმღები ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE74PC0133600100067864GEL
მიმღები ბანკი : სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE07TB7223136050100002
E-mail: info_greenhouse@yahoo.com

მყიდველი :
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

#	დასახელება/ Description	რაოდენობა	ერთ. ფასი ლარი	სულ ფასი
	ყვავილი მარგალიტკა	40	1.5	60
	ყვავილი ვიოლა	80	1.5	120
	ყვავილი ფურისულა	80	1.5	120
	ყვავილის სასაჩუქრე ქაღალდი	200	0.5	100
	ჯამი:			400

სულ გადასახდელი თანხა 400 (ოთხასი) ლარი

გაყიდვების მენეჯერი : ნიკა ალავიძე

წერილის ნომერი:**02-3222053191**
თარიღი: **22/02/2022**

ადრესატი:

კენან ომაროვი
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კენან ომაროვს

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის,

ბავშვის კეთილდღეობის დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის

გიორგი მეურმიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კენან,

როგორც მოგეხსენებათ 2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში გავრცელდა „კოვიდ 19“-ის სახელით ცნობილი ვირუსი. პანდემიამ საქართველოც მოიცვა. ქართველი ექიმები დღემდე თავდაუზოგავად ებრძვიან უხილავ მტერს.

თითქმის ორი წელია ჩვენს მუნიციპალიტეტში დასაქმებული მედიკოსები მედგრად დგანან მოსახლეობის უსაფრთხოების სადარაჯოზე. საკუთარი ჯანმრთელობის ფასად დღე და ღამ ზრუნავენ სხვების სიცოცხლის გადასარჩენად. მართლაც რომ უსაზღვროა მათი გმირობა და თავდადება.

ამა წლის 7 მარტს, ქალთა საერთასორისო დღესთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე ქალბატონების საპატივსაცემოდ, პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების სრული დაცვით, გვსურს გავმართოთ დაახლოებით 60 წუთიანი ღონისძიება, იუმორისტების: დავით ბეკოშვილის, რომან ქერქაძის, მუსიკოსების ხვიჩა მაღლაკელიძის, ბორის ბედიას მონაწილეობით.

ყოველი ზემოთხსენებულიდან გამომდინარე კონცერტზე დასასწრებლად მოწვეულნი იქნებიან მარნეულის მუნიციპალიტეტში მოღვაწე, კოვიდ პანდემიასთან მებრძოლი ქალბატონი მედიკოსები.

კონცერტის დასრულების შემდეგ ქალბატონებს გადაეცემათ ქოთნის ყვავილები (ფურუსულები).

ქოთნის ყვავილების რაოდენობა უნდა იყოს 150 ერთეული.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს განახორციელოს შესყიდვებთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობები.

პატივისცემით,

გიორგი მეურმიშვილი

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

წერილის ნომერი:02-3222055195
თარიღი: 24/02/2022

ადრესატი:

კენან ომაროვი
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კენან ომაროვს

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის,

ბავშვის კეთილდღეობის დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის

გიორგი მეურმიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კენან,

ჩვენს მიერ ინიციირებულ მოხსენებით ბარათში (N02-3222053191. 22.022022), რომელიც შეეხება ქოთნის ყვავილების შესყიდვას, რაოდენობა 150 ის ნაცვლად უნდა ეწეროს 200 ერთეული.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს განახორციელოს შესყიდვებთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობები.

პატივისცემით,

გიორგი მეურმიშვილი

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი